

აქციის

თემატური პაკეტი „საოჯახო“ გადასახდელის გარეშე „ეკონომ“ და „კომფორტი (new)“ პაკეტის აბონენტებისათვის" პირობები

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), თბილისსა და რეგიონებში, ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების მიმღებ აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ "ეკონომ" და "კომფორტი (new)" პაკეტებით, ავტომატურად გაუაქტიურდებათ თემატური პაკეტი "საოჯახო" სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში - 90 დღის ვადით;
2. **აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ პირებზე / აბონენტებზე:**
 - ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების (როგორც ცალკე მდგომი ასევე ნებისმიერი კომბინაციის რომელშიც მონაწილეობას იღებს ტელევიზია) მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ "ეკონომ" და "კომფორტი (new)" პაკეტებით.
3. **აქციის აქტივაცია** მოხდება ავტომატურად 2020 წლის 19 მარტიდან და გაუაქტიურდებათ იმ აბონენტებს, რომლებსაც აღნიშნულ თარიღში გააქტიურებული ექნებათ პაკეტი „ეკონომი“ და „კომფორტი (new)“ და არ სარგებლობენ თემატური პაკეტით "საოჯახო". აქციის ავტომატური აქტივაცია მოხდება მათ შორის იმ აბონენტებისთვის, რომლებსაც აღნიშნულ თარიღში გააქტიურებული ექნებათ თემატური პაკეტი „საოჯახო“.
4. აქციის **მოქმედების პერიოდი** განისაზღვრება **აბონენტისთვის აქციის ავტომატური აქტივაციიდან 90 დღის ვადით;**
5. მე-2 პუნქტით განსაზღვრული აბონენტები, აქციის ფარგლებში მიიღებენ თემატურ პაკეტს "საოჯახო" სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.
6. აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ უარი განაცხადონ აქციის პირობებით სარგებლობაზე, ამისათვის აბონენტმა უნდა გააუქმოს თემატური პაკეტი "საოჯახო". ამასთან, სურვილის შემთხვევაში აბონენტს არ ეზღუდება აღნიშნული თემატური პაკეტის სტანდარტული პირობებით აქტივაცია. აქციაზე უარის შემთხვევაში აბონენტებს ეზღუდებათ ხელშეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა. აქციაზე უარის შემთხვევაში, აქციიდან გასვლის შემდეგ, აბონენტებს დაერიცხებათ აქციის ფარგლებში ჩართული თემატური პაკეტის „საოჯახო“ სტანდარტული ღირებულება, რის თაობაზეც, როგორც გაუქმებამდე, ისე გაუქმების შემდეგ, მოხდება აბონენტის შესაბამისი გზით გაფრთხილება.
7. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვისას აბონენტს შეუწინაღებდება თემატური პაკეტი „საოჯახო“ და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება.
8. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება აქციაში ჩართული მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა.
9. მომსახურებების დროებით შეჩერების პერიოდში, აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას. დროებით შეჩერებული მომსახურების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება აქციის პირობები (თუ არ არის ამოწურული აქციის მოქმედების ვადა).
10. შეზღუდულია აქციის გაუქმების შემდეგ ხელშეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა.
11. აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტს არ ეზღუდება სატარიფო გეგმის ცვლილების შესაძლებლობა. სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტის სხვა პაკეტით ცვლილებისას, აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას (გარდა „პრემიუმ +“ პაკეტზე გადასვლისას, რომელიც ავტომატურად მოიცავს აღნიშნულ თემატურ პაკეტს).
12. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია არ გადაყვანა ახალ მისამართზე. მისამართის ცვლილებისას თემატურ პაკეტზე "საოჯახო" აქცია შეწყდება.